განახლებულია 01.05.2026 წ.

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** | **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | **ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება/Physical Geography and Sustainable Development of Environment** |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | **პირველი ნაწილი:** გეოგრაფიის მაგისტრი/MASTER OF GEOGRAPHY<br>**მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი გეოგრაფიაში/ RESEARCH MASTER IN GEOGRAPHY |
| **პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი** | ასოცირებული პროფესორი ნაზიბროლა ფაღავა - nazibrola.phagava@bsu.edu.ge<br>ასისტენტ პროფესორი ხათუნა ჭიჭილეიშვილი - chichileishvili.khatuna@bsu.edu.ge |
| **პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი)** | **პირველი ნაწილი** - 60 ECTS კრედიტი<br>**მეორე ნაწილი** - 60 ECTS კრედიტი |
| **სწავლების ენა** | ქართული ენა |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | **პირველი ნაწილი:**<br>✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა - B2 დონე და სპეციალობა;<br>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;<br>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.<br>**მეორე ნაწილი:**<br>✓ პროგრამის პირველი ნაწილი;<br>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | **პირველი ნაწილი:**<br>✓ ღრმა და სისტემური ცოდნის შეძენა გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ბუნებრივ-გეოგრაფიული პროცესების სივრცე-დროითი თავისებურებების, ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და არსებული გეოეკოლოგიური პრობლემების გაცნობიერება;<br>✓ თეორიული ცოდნის საფუძველზე, ველზე მუშაობისას შეეძლება ბუნებრივ გარემოში მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიულ პროცესებზე დაკვირვება, *ხელსაწყოების* გამოყენება, მასალების შეგროვება-გაანალიზება, ბუნებრივ გარემოზე მონიტორინგი და მიღებული მონაცემების საფუძველზე დასკვნის გაკეთება |

განახლებულია 01.05.2026 წ.

| | |
|---|---|
| | **მეორე ნაწილი:**<br>✓ შეძლებს ჩაატაროს კვლევები ველზე, მასალების დამუშავებისას შეაფასოს ლანდშაფტის პოტენციალი, გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების ხარისხი და დაადგინოს ეკოლოგიური მდგრადობა საზოგადოების განვითარების უზრუნველსაყოფად;<br>✓ ეთიკური პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად შეძლებს, შეაფასოს თავისი და სხვების დამოკიდებულება რაციონალური ბუნებათსარგებლობის ძირითადი პრინციპების დამკვიდრებაში, ასევე მიღებული ცოდნის საფუძველზე კომპლექსური ან მულტი დისციპლინური სამუშაო გარემოს მართვას და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღებას. |
| სწავლის შედეგები | **პირველი ნაწილი:**<br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>✓ აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ლანდშაფტურ გარსში მიმდინარე ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესების, ბუნებათსარგებლობისა და ბუნებრივ გარემოზე მონიტორინგის კვლევის მეთოდების შესახებ. აცნობიერებს ლანდშაფტებში ბუნებრივ-გეოგრაფიული პროცესების სივრცე-დროით ცვლილებებს, აკეთებს მის ანალიზს და კომპლექსური მეთოდების გამოყენებით შეძლებს აღწერა-შეფასებას.<br>**უნარი**<br>✓ შეეძლება სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში საჭირო ინფორმაციის მოპოვება, კრიტიკული ანალიზი, ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება;<br>✓ შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შეუძლია გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის პოტენციალის შეფასება და რაციონალური ბუნებათსარგებლობის მიმართულებით ეკონომიკური საქმიანობის ეფექტურობის დასახვა;<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>✓ თეორიული ცოდნის საფუძველზე შეძლებს კომპლექსურ, ან მულტიდისციპლინურ სამუშაო გარემოს მართვასა და ადაპტირებას თანამედროვე სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად;<br><br>**მეორე ნაწილი:**<br>**უნარი**<br>✓ თეორიული ცოდნის საფუძველზე აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის, უახლესი მეთოდების გამოყენების, ორიგინალური გზების მოძიების, უცნობ გარემოზე დამოუკიდებლად მონიტორინგის, მიღებული |

განახლებულია 01.05.2026 წ.

| | |
|---|---|
| | შედეგების აღწერა-გაანალიზების, დოკუმენტირების და პრეზენტაციის უნარ-ჩვევები; პრაქტიკულ მეცადინეობებზე რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების შეფასება/გაანალიზების უნარი;<br>✓ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად დამოუკიდებლად შეძლებს თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით კონკრეტულ ბუნებრივ გარემოში პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანას;<br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>✓ შეძლებს თავის და სხვების დამოკიდებულების შეფასებას ეკოლოგიურად მდგრადი ბუნებრივი გარემოს უზრუნველსაყოფად და წვლილის შეტანას ამ ღირებულებების დამკვიდრებაში. ასევე, საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას. |